გუშინ...

რუსთავში გაიმართა მეორე ამხანაგური შეხვედრა თბილისის ”დინამოსა” და ლიუბლიანას (იუგოსლავია) "ოლიმპიას” ფეხბურთელთა გუნდებს შორის. მატჩი მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 3:1. ბურთები გაიტანეს: ჩელებაძემ (მე-4 წუთი), ყიფიანი - ორი (35, 51) და ვოლიჩმა (75). სპორტკლუბ ”ფოლადის” მიერ დაწესებული პრიზები საუკეთესო მოთამაშეთათვის გადაეცათ ყიფიანსა ("დინამო") და მეკარე დალანოვიჩს ("ოლიმპია"), ხოლო რუსთავის კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პრიზი - იუგოსლაველ ვოინოვიჩს.

"დინამო": გოგია (გაბელია), ხიზანიშვილი, კანთელაძე (დურდიაძე), ხინჩაგაშვილი, მუჯირი, დარასელია (ქორიძე), მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი (ბაზაზაშვილი), გუცაევი (შენგელია), ყიფიანი, ჩელებაძე.

მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

(ჩვენი საკ. კორ.)

“ლელო”, 21.02.78